N 134
22/02/2021

134-01-3-202102221205

სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორს
ბატონ შალვა ურიადმყოფელს

ამავე სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული სამსახურის
უფროსის გიორგი მაზიაშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო შალვა,

მოგახსენებთ, რომ 2021 წლის 6 აპრილს ვადა ეწურება სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს სახელზე გაცემულ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის და იურიდიული პირის ავთენტიფიკაციის სერტიფიკატებს (ბარათის ნომერი: 00927493561).

იმისათვის, რომ კვლავ უწყვეტად ვისარგებლოთ აღნიშნული მომსახურებით, საჭიროა სერტიფიკატების ვადის ამოწურვამდე 20 სამუშაო დღით ადრე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში განაცხადის წარდგენა. წარდგენილ განცხადებას თან უნდა დაერთოს განცხადების დანართი, განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის სააგენტოს კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე გაცემის საფასურია 250 ლარი. თანხის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს ავანსის სახით, სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ სახაზინო კოდზე: 707437335.

გთხოვთ თქვენს თანხმობას აღნიშნული მომსახურების შესყიდვის თაობაზე.

პატივისცემით
გიორგი მაზიაშვილი

LEPL Land transport agency

Digitally signed by LEPL Land transport agency
Date: 2021.02.23 10:06:25 +04'00'